ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2754867

ნომერი: AR1426459

თარიღი : 25.07.2016

გაცემის თარიღი : 02.08.2016

გაცნობის თარიღი : 03.08.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ გურგენიძე პ/ნ 01001025056
- გლდანი III/ა მ-ნი, კორ. №19, ბინა №9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

- მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირდეს დეტალური ინფორმაცია ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, ასევე დაზუსტდეს ხდება თუ არა ტროტუარის კეთილმოწყობა. გაითვალისწინეთ, რომ ტროტუარის კეთილმოწყობის სამუშაოები საჭიროებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობის წარმოდგენას.
- ველში „ფაილის მიმაგრება“ აიტვირთოს მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა, საპროექტო შენობის კონტურის დატანით.
- ფოტომონტაჟზე მიეთითოს საპრექტო შენობის გაბარიტული ზომები. ასევე გაითვალისწინეთ, რომ არქიტექტურის სამსახურში შემოსულ სარეკლამო აბრაზე შესრულებული წარწერა უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტირირებულ) ფორმას. ორენოვანი მანათობელი წარწერის შემთხვევაში კი ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული.
- გარდა ამისა გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება ყადაღა, შესაბამისად საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილი პირის თანხმობა.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.